სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

74239222729622

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N220248874

რეგისტრაციის თარიღი

10.03.2022 წ

ნოტარიუსი: ირმა ბერიძე
მისამართი: თბილისი,გრიგოლ რობაქიძის გამზირი N7, კორპ. N4-6
ტელეფონი: 2905754

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო, სანოტარო აქტი, ორიათას ოცდაორი წლის ათ მარტს მე, ირმა ბერიძეს, ნოტარიუსს ქ. თბილისში, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს ქ. თბილისში, გრიგოლ რობაქიძის გამზირი №7, კორპუსი №4-6, მომმართა ბატონმა მირიანი მირაშვილმა, რომელმაც განაცხადა, რომ არის შპს "მირა"-ს დირექტორი (თანახმად მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრის ამონაწერისა იურიდიული მისამართი საქართველო, ქ. თბილისი, სამგორის რაიონი, ვარკეთილის მე-3 მასივი, VIII კვ. კორპ. 13, ბინა 27, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B21089217, 06/09/2021 13:55:36 საიდენტიფიკაციო კოდი 406253726) მოითხოვა მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დადასტურება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად მირიანი მირაშვილმა (დაბ. 10.12.1993წ. სილნაღში, პირადი № 01027071459 პასპორტი 15BB06979 გაც. 01.08.2016წ. მისამართი თბილისი III მასივი, VIII კვ. კორპუსი 13, ბინა 27) მომმართა. მე დავადგინე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. შემდეგ დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა. მე, ნოტარიუსმა ირმა ბერიძემ, წინამდებარე მინდობილობა წავუკითხე მას და განვუმარტე მისი შინაარსი. მან დაადასტურა, რომ მინდობილობა სრულად გამოხატავს მის ნებას, რის შემდეგ ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორიათას ოცდაორი წლის ათ მარტს მირიანი მირაშვილმა, როგორც შპს "შირა"-ს ს/კ 406253726 დირექტორმა, რომელიც შემდგომში წოდებულია „მიმნდობი პირი", ირაკლი ილურიძეს (პირადი №01001081482), რომელიც შემდგომში წოდებულია „მინდობილი პირი", მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება: იყოს ჩემი, როგორც საზოგადოების დირექტორის წარმომადგენელი ყველა სახელწიფო და არასახელმწიფო დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებში (მერია, გამგეობა, მუნიციპალიტეტი, საკრებულო) და მათ ნებისმიერ სამსახურში, მათ შორის არქიტექტურის სამსახურში, ზედამხედველობის სამსახურში, ურბანული დაგეგმარების სამსახურში, მუნიციპალურ ინსპექციაში, ტრანსპორტის სამსახურში, ქონების მართვის სამსახურში, იუსტიციის სახლში, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში (მათ შორის უფლებამოსილია მოახდინოს ცვლილების რეგისტრაცია კოორდინატთა სისტემაში, ნებისმიერი რეგისტრირებული მონაცემის ცვლილების რეგისტრაცია, დაზუსტება, კონფიგურაციის ცვლილება, კორექტირება და ა.შ.), ექსპერტიზის ნებისმიერ ბიუროში, გარემოს ეროვნულ სააგენტოში, ნებისმიერი კომუნალური მომსახურების სამსახურებში, რათა ჩემი სახელით წარადგინოს, გამოითხოვოს, მიიღოს ნებისმიერი დოკუმენტი, ცნობა, ინფორმაცია, განცხადება, ნებართვა, აწარმოოს უძრავ ქონებაში მდებარე თბილისი ქრისტინე შარაშიძის ქუჩა №4, ს/კ №01.72.14.011.383 მშენებლობასთან ან/და პროექტირებასთან, სამშენებლო/საპროექტო დოკუმენტაციის მომზადებასთან, რეკონსტრუქციასთან, შენობის ექსპლუატაციაში მიღებასთან, დაკანონებასთან/რეგისტრაციასთან დაკავშირებული ნებისმიერი საქმიანობა, წარადგინოს და შეათანხმოს პროექტი, მიიღოს ნებართვა, შეასრულოს აზომვითი ნახაზები, შეიძინოს სამშენებლო მასალა, ააშენოს შენობა-ნაგებობები, საჭიროების შემთხვევაში შეიტანოს ნებისმიერი ცვლილება არსებულ პროექტებში, განაცხადოს შესაბამისი თანხმობები, აწარმოოს ნებისმიერი საქმიანობა წყლის, კანალიზაციის, დენის, გაზის შეყვანასთან და აბონენტად რეგისტრაციასთან, გამრიცხველიანობასთან, საჭიროების შემთხვევაში მრიცხველის შეცვლასთან და რეგისტრაციასთან დაკავშირებული ნებისმიერი საქმიანობა, გადაიხადოს კანონით დადგენილი ნებისმიერი გადასახადები და მოსაკრებლები, ხელი მოაწეროს ჩემი სახელით შესაბამის დოკუმენტებს და შეასრულოს ყველა ის მოქმედება და ფორმალობა, რაც დაკავშირებულია ამ დავალების შესასრულებლად.

მინდობილობა ძალაშია 2023 (ორიათას ოცდასამი) წლის ათ აგვისტომდე.

ეს მინდობილობა შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს ირმა ბერიძის სანოტარო არქივში, ხოლო ორი - გადაეცა მიმნდობ პირს.

გადახდილია საზღაური: 10.00 ლარი და რეგისტრაციის საზღაური 2.00 ლარი სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილების №507 (29.12.2011წელი) 31.7-ე მუხლის და 39 მუხლის 1 პუნქტის საფუძველზე

შპს "შირა"-ს დირექტორი მირიანი მირაშვილი

ნოტარიუსი ირმა ბერიძე

საქართველო. ნოტარიუსი ირმა ბერიძე GEORGIA NOTARY IRMA BERIDZE ГРУЗИЯ. НОТАРИУС ИРМА БЕРИДЗЕ * 01001038016 *